საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკის ტექნოლოგია“
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნა

პროგრამაზე „მუსიკის ტექნოლოგია“ აბიტურიენტი ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებისა და ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე, პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველზე.

კერძოდ, წერითი ფორმატის ტესტით შეფასდება აბიტურიენტის მუსიკალურ-სმენითი უნარები. იგი უნდა ცნობდეს ნოტებს ვიოლინოს და ბანის გასაღებში; ყველა დიდ, პატარა და წმინდა ინტერვალს; გრძლიობებს და პაუზებს (მთელი, ნახევარი, მეოთხედი, მერვედი, მეთექსვმეტედი); უნდა შეეძლოს მოცემული ნიმუშის ზომის (მარტივი და რთული) განსაზღვრა; იცოდეს სიმფონიური ორკესტრის საკრავთა თითოეულ ჯგუფში რა ინსტრუმენტებია გაერთიანებული. აბიტურიენტს უნდა შეეძლოს შედარებით რთული რიტმული ნახაზის ჩანაწერთან იდენტიფიცირება; სმენით უნდა განასხვავებდეს მაჟორულ, მინორულ კილოს, სხვადასხვა რეგისტრსა და ტემბრს (მხატვრული ნიმუშიდან მოყვანილი ფრაგმენტის მაგალითზე).

ტესტი ფასდება ასქულიანი (100) სისტემით; დადებითი შეფასებაა 51-100; (მუშაობის დრო - 1 ასტრონომიული საათი).

მუსიკალურ-სმენითი უნარების შესამოწმებლად აბიტურიენტმა ტესტი უნდა ჩააბაროს კონსერვატორიაში; დადებითი შედეგების მქონე ყველა აბიტურიენტის მონაცემები გაიგზავნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში.